“ტრადიციულად”...

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 6 ოქტომბერი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) _ 2:1 (2:1).

“სპარტაკი”: ბაუჟა, ლოგოფეტი, ივანოვი, ლოვჩევი, ბულგაკოვი (კალინოვი), ჰუსაინოვი, ოსიანინი, პაპაევი, სილაგაძე.

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი (მაჩაიძე), კუტივაძე, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (ქარქაშაძე).

მსაჯი: ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

დუბლიორები _ 5:2 “სპარტაკის” სასარგებლოდ.

ვინც ტელევიზორით ადევნებდა თვალს ამ ორი გუნდის მატჩს, მისთვის ყოველივე ნათელია: მოსკოველები იბრძოდნენ მთელი მონდომებით, დაუოკებელი ჟინით. რაც მთავარია, იგრძნობოდა, რომ მინდორზე იყო მონოლითურად შეკრული კოლექტივი _ ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის. “დინამოს” სწორედ ეს აკლდა და პირველ ყოვლისა ამან განაპირობა მისი მორიგი ”ტრადიციული” მარცხი სხვის მინდორზე. დინამოელთა გულგრილობა, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ დიდ გაკვირვებას იწვევს.

ახლა მოკლედ იმაზე, თუ როგორ წარიმართა თამაში. სპარტაკელები მთელ მატჩში მწვავედ უტევდნენ, თბილისელთა კონტრშეტევები კი უმეტესად დუნე და სიმძაფრეს მოკლებული ჩანდა. შეიძლება ეს წვიმის ბრალიც იყო (მე-20 წუთიდან განუწყვეტლივ წვიმდა), მაგრამ მოსკოველებიც ხომ იმავე ამინდში, იმავე მინდორზე თამაშობდნენ და საკმაოდ ტემპიანადაც. სპარტაკელთა მცველი ლოვჩევი ხშირი სტუმარი იყო თბილისელთა კართან. მე-13 წუთზე სწორედ მან სრულიად მარტივ ვითარებაში ისარგებლა “დინამოს” მცველთა დაუდევრობით და დაახლოებით 25 მეტრიდან დარტყმით გახსნა ანგარიში. 12 წუთის შემდეგ კუტივაძემ იმავე მანძილიდან გაიტანა საპასუხო გოლი.

ამის მერე წუთიც არ იყო გასული, რომ ოსიანინი სტეფანიას პირისპირ აღმოჩნდა და ოსტატურად გაგზავნა ბურთი კარის დაბალ კუთხეში.

შესვენების შემდეგ ბურთმა ბადე ვერ მოძებნა, თუმცა ამის შესაძლებლობა სპარტაკელებს ბევრჯერ ჰქონდათ. ჯერ ცარიელ კარში ბურთი ვერ მოახვედრა ოსიანინმა, შემდეგ ჰუსაინოვის ბურთი კარის ზედა ძელს მოხვდა, მერე კვლავ ოსიანინმა მოხერხებული მდგომარეობიდან ააცდინა.....

თბილისელებმა ანგარიშის გაქვითვის ორიოდე კარგი შესაძლებლობა დაკარგეს და ბოლოს დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

ვ. პავლოვი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 8 ოქტომბერი, 1970 წ.